ხელშეკრულება
იურიდიული მომსახურების შესახებ

თბილისი 10 აპრილი 2013წ.

ერთის მხრივ, **შპს "თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო"** მისი დირექტორის, **ივერი მაისურაძის** სახით, შემდგომში „დამკვეთი" და მეორეს მხრივ, **კს "კობალაძე კონსალტინგი"** მისი მმართველი პარტნიორის, **გიგა კობალაძის** სახით, შემდგომში „შემსრულებელი", ვაფორმებთ წინამდებარე შეტანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით შემსრულებელის მიერ დამკვეთის ინტერესებს წარმოდგენა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიმართ დავის წარმოებისას.

2. შესრულების პირობები

2.1. შემსრულებელი წარმოადგენს და იცავს დამკვეთის ინტერესებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოსა და არბიტრაჟში.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევისას, დამკვეთის ინტერესების დაცვისა და ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიზნით, შემსრულებელი ვალდებულია განუხრელად დაიცვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და დამკვიდრებული საადვოკატო ქცევის წესები;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევისას, შემსრულებელი ვალდებულია იმოქმედოს დამკვეთის ინტერესების შესაბამისად და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა საშუალება. შემსრულებელი დამკვეთის ინტერესების დაცის ტაქტიკის, გზების, საშუალებების შერჩევისას დამოუკიდებელია, ამასთან, შემსრულებლის სამართლებრივი დასკვნები შეესაბამება დამკვეთის მიერ მოწოდებულ ფაქტობრივ მონაცემებს, რომელთა უტყუარობის შესახებ პასუხისმგებელია დამკვეთი. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, არ გაახმაუროს დამკვეთის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, არ გადასცეს იგი მესამე პირებს და არ გამოიყენოს სხვა მიზნით დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.4. დამკვეთი უზრუნველყოფს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტაციით და აღჭურვავს მას სათანადო რწმუნებულებით;

2.5. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების გადახდა შემსრულებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით და დადგენილ ვადებში.

3. ანგარიშსწორება

3.4. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს, საიდანაც 1500 (ათას ხუთასი) ლარის გადახდა დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილი იქნება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერისთანავე, ხოლო დარჩენილი 1500(ათას ხუთასი) ლარი უნდა დაიფაროს მომდევნო სამი თვის განმავლობაში ერთჯერადად ან ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3.5. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.6. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4. ვადა, შეწყვეტის პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა სრულ და ჯეროვან შესრულებამდე;

4.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესი და მისი შეწყვეტის საფუძვლები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5. დავები

5.1. ყველა დავა და უთანხმოება, რაც წინამდებარე შეთანხმების გარშემო შეიძლება წარმოიშვას, წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით;

5.2. თუ მხარეები მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ კონსენსუსს, დავას განიხილავს სასამართლო.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში;

მხარეთა ხელმოწერები:

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, ყველა შეტყობინება ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე ან ჩაბარდა მხარეს ხელზე;

6.3. ხელშეკრულებას საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მისი შესაბამისი დანართებით

6.4. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულს დასტურად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.5. წინადებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი	შემსრულებელი
შპს "თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო "	კს „კობალაძე კონსალტინგი"
ს/კ 204871594	ს/კ 404378972
თბილისი, სჩიქოვანის ქ., 14	თბილისი, კოსტავას I შესახვევი 33
ტელ.: +995 577 007 008	ტელ.: (+995 790) 939030
	სს „თიბისი" ბანკის ვერის ფილიალი
	კოდი 220101818
	ა/ა 888
	მმართველი პარტნიორი
	გიგა კობალაძე
დირექტორი	
ივერი მაისურაძე	

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional